ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

The Rule of the Video Monitoring

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია –** პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის და იურიდიული განყოფილების უფროსის მიერ;
2. **დამტკიცებულია –** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორის მიერ (2025 წლის 21 ივლისის სენატის სხდომის დადაგენილება, ოქმი №08);
3. **მოქმედებაშია –** დამტკიცების დღიდან;
4. **პერიოდული შემოწმება –** წარმოებს შემმუშავებლ(ებ)ის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. **ცვლილებები –** ცვლილებათა შეტანა წარმოებს წინამდებარე წესის შემუშავებისას შიდა და გარე ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებისას ან/და ბუსსს ანრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.
6. წესის განახლებაზე, მიღებული ცვლილებების შესახებ ბუსსს ანრის თანამშრომლების ინფორმირებაზე და განახლებული დებულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია იურიდიული განყოფილების უფროსი.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებათა საფუძველი	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შინაარსი

1. შესავალი 4
2. ტერმინთა განმარტება 4
3. ვიდეომონიტორინგის მიზანი, საფუძველი და მოცულობა 5
4. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა, შენახვის ვადა და განადგურების წესი 6
5. ვიდეოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა 7
6. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლების მესამე პირებისთვის მინიჭება და გადაცემა 8
7. ვიდეოჩანაწერების გადაცემა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან 8
8. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები 9
9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 9
10. ინციდენტზე რეაგირების წესი 10
11. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 10
დანართი 1 11
12. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი 13
13. პერსონალის წესთან გაცნობის ფურცელი 15
14. შეთანხმების ფურცელი 18

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

The Rule of the Video Monitoring

1. შესავალი

წინამდებარე ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში-"წესი") განსაზღვრავს შპს "ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის" (ს/კ 245539403) (შემდგომში-"სასწავლებელი") მიერ სასწავლებლის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესს, მათი შენახვის ვადასა და წესს, მათზე წვდომისა და განადგურების წესს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას.

2. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

პერსონალური მონაცემი (შემდგომში მოხსენიებული როგორც - მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

მონაცემთა დამუშავება – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ვიდეომონიტორინგი,აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.

ვიდეომონიტორინგი – კომპანიის მიერ ფილიალის შიდა სივრცეში ან ფილიალის გარე პერიმეტრზე განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/სასწავლებელი - შპს "ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი" - სასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და უშუალოდ ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

სამუშაო ადგილი - კომპანიის კერძო სივრცე, სადაც დაწესებულებაში დასაქმებული პირები უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას (მაგალითად, სამუშაო ოთახი, საკონფერენციო/შეხვედრების ოთახი, სალარო).

სააგენტო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;"

შრომის ინსპექციის სამსახური – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური;

შპს ტესტინგისა და სერტიფიცირების ცენტრი – შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის" ბაზაზე არსებული, კანონის შესაბამისად აკრედიტირებული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო და პროგრამის მსმენელთა სასერტიფიკატო გამოცდების ჩატარებას. აღნიშნულ პროცესში შრომის ინსპექციის სამსახური იყენებს სასწავლებლის საგამოცდო სივრცესა და ვიდეომონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობას.

საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულება – შპს "ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის" ბაზაზე არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მეზღვაურთა სწავლებასა და წვრთნას და რომლის საზღვაო-საწვრთნელი კურსები (პროგრამები) აღიარებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოდელური კურსებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

უფლებამოსილი პირი - კომპანიის დირექტორის მიერ შიდა აქტით განსაზღვრული პირი, რომელსაც წარმოეშობა ვიდეო ჩანაწერებზე ან/და აუდიოჩანაწერებზე წვდომის უფლება და გააჩნია საკუთარი ანგარიში სისტემაში შესასვლელად და ვიდეოჩანაწერზე/აუდიოჩანაწერზე წვდომის მისაღებად.

ინციდენტი – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

3. ვიდეომონიტორინგის მიზანი, საფუძველი და მოცულობა

3.1. ვიდეომონიტორინგს ექვემდებარება სასწავლებლის შიდა და გარე პერიმეტრი;

3.2. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მიზნებით:

- დანაშაულის თავიდან აცილება და მისი გამოვლენა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა;
- საკუთრების დაცვა;
- კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;

- სხვა საჯარო ან/და ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული მიზნების განსახორციელებლად, მათ შორის, ინციდენტების მართვა;
- საგამოცდო პროცესის მონიტორინგი

3.3. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას სასწავლებლის შესაბამისი სამსახურის მიერ მიღებულია ზომები, რათა არ მოხდეს უშუალოდ დასაქმებულთა სამუშაო ხარისხის კონტროლი;

3.4. სასწავლებელი არ ახორციელებს ვიდეოკონტროლს თანამშრომელთა სამუშაოს შესრულებისა და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით;

3.5. ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე, შესასვლელებსა და დერეფნებში.

3.6. სასწავლებელი არ ახორციელებს იმ სივრცის ვიდეომონიტორინგს, რომელიც არ არის აუცილებელი დოკუმენტში აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ასევე, სადაც დასაქმებული პირი ახორციელებს არასამსახურეობრივ აქტივობებს, მათ შორის, დასასვნებელ სივრცეებში;

3.7. პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გარანტირებულია სასწავლებლის მხრიდან. შესაბამისად, სამუსაო ადგილზე ვიდეომონიტორინგის დროს სასწავლებელი უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და დასაქმებულთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვას;

3.8. სასწავლებელი წარმოადგენს კონკურსის წესით შერჩეულ ტესტირებისა და სერტიფიცირების ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო/სასერტიფიკატო გამოცდის მიმდინარეობის ვიდეოჩაწერას და, მოთხოვნის შემთხვევაში, ჩანაწერის შრომის ინსპექციის სამსახურისთვის მიწოდებას.

4. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა, შენახვის ვადა და განადგურების წესი

4.1. ვიდეომონიტორინგის ხორციელდება 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღის მანძილზე;

4.2. სასწავლებელი ახორციელებს ვიდეოჩანაწერების შენახვას 3 თვის ვადით, ან იმ ვადით, რაც აუცილებელია კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

4.3. შენახვის სტანდარტული პერიოდის გასვლის შემდეგ, მონაცემები ექვემდებარება ავტომატურ განადგურებას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა არასაჭირო შენახვის თავიდან აცილებას, აღნიშნული ჩანაწერის აღდგენა ან სხვაგვარად მასზე წვდომის მოპოვება მისი წაშლის შემდეგ ტექნიკურად შეუძლებელია;

4.4. სასწავლებელი ვალდებულია შეინახოს ვიდეო ჩანაწერები ხანგრძლივი ვადით შემდეგ შემთხვევებში:

- სამართალდარღვევის ან ინციდენტის გამოვლენა: თუ ჩანაწერი შეიცავს მტკიცებულებას უსაფრთხოებისინციდენტის, ზიანის მიყენების, ან სხვა სახის სამართალდარღვევის შესახებ.

- სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნა: კომპანია ვალდებულია დაარქივოს და შეინახოს კონკრეტული ვიდეომასალა იმ ვადით, რა ვადითაც ეს მოთხოვნილია:
  - სამართალდამცავი ორგანოების (მაგ. პოლიციის) წერილობითი მომართვის საფუძველზე;
  - ან/და სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

ამ შემთხვევაში, ჩანაწერების შენახვის ვადა განისაზღვრება შესაბამისი ოფიციალური მოთხოვნით/განჩინებით და ჩანაწერი არ წაიშლება მექანიკურად, ვიდრე არ დასრულდება სამართლებრივი პროცედურები ან არ მიიღება შემდგომი მითითება.

4.5. საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული საკვალიფიკაციო/სასერტიფიკატო გამოცდის ვიდეოჩანაწერის შენახვა ხორციელდება სამი თვის ვადით.

5. ვიდეოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა

5.1. ვიდეომონიტორინგის სისტემასა და ჩანაწერებზე წვდომა აქვს ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს. დაუშვებელია სისტემაზე წვდომა მიენიჭოს სხვა პირს.

5.2. ვიდეომონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები ინახება სასწავლებლის ვიდეოჩანაწერების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის განკარგულებაში არსებულ კომპიუტერზე, სპეციალურ პროგრამაში (NVR მოწყობილობა), რომელიც დაცულია პაროლით და უზრუნველყოფილია უსაფრთხოება არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისგან.

5.3. უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ვიდეოჩაწერის პროცესის მონიტორინგზე, ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს:

- მიმდინარეობს თუ არა უწყვეტი ვიდეომონიტორინგი;
- ვიდეოკამერაზე მითითებული თარიღი/დრო შეესაბამება თუ არა რეალურ დროს;
- არსებობს თუ არა შესაბამისი დღეების ვიდეოჩანაწერი ყველა კამერისთვის.

შენიშვნა: თუ არსებობს იმის ეჭვი, რომ სისტემა დაზიანებულია, ფიქსირდება სისტემაში მესამე პირთა შემოღწევის ფაქტი ან სხვაგვარად არსებობს პერსონალური მონაცემების უკანონო ხელყოფის ალბათობა, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოახდინოს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება.

5.4. სასწავლებლის მიერ მიღებულია ადეკვატური ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი წვდომა, გამჟღავნება ან არამიზნობრივი გამოყენება. კერძოდ:

- ფიზიკური უსაფრთხოება: ტექნიკური აღჭურვილობა და მონიტორინგის სისტემა განთავსებულია დაცულ ოთახ(ებ)ში, სადაც დაშვებულნი არიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები;

- შეზღუდული წვდომა: ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვს თანამშრომელთა მხოლოდ იმ განსაზღვრულ წრეს, რომლებსაც ეს სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ესაჭიროებათ;
- ინფორმაციული უსაფრთხოება: უზრუნველყოფილია სისტემის დაცულობა ინტერნეტიდან და ლოკალური ქსელიდან უკანონო შეღწევის პრევენციის მიზნით;
- ლოგირება და აღრიცხვა: სრულად აღირიცხება მონიტორინგის სისტემაში შესრულებული ყველა მოქმედება და ჩანაწერების გამჟღავნების თითოეული ფაქტი.

5.5. ვირუსებისგან დაცვის მიზნით, სასწავლებელი იყენებს ანტივირუსულ სისტემას და დაცვის სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით.

5.6. სასწავლებელი ახორციელებს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვას, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის ფიქსაციას, რაც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

6. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლების მესამე პირებისთვის მინიჭება და გადაცემა

6.1. ჩანაწერების მესამე პირ(ებ)ისთვის წვდომის მინიჭება, გადაცემა ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (შრომის ინსპექციის სამსახური, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო) ან სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;

6.2. სასწავლებელი ახორციელებს საკვალიფიკაციო/სასერტიფიკატო გამოცდის მიმდინარეობის ვიდეოჩაწერას და, მოთხოვნის შემთხვევაში, ჩანაწერის შრომის ინსპექციის სამსახურისთვის მიწოდებას.

6.3. სასწავლებელი ვალდებულია ზემოაღნიშნულ შემთხვევებში აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

- რომელი ჩანაწერის გამჟღავნება მოხდა (რომელ თარიღში გადაღებული და რა პერიოდის ამსახველი ჩანაწერის გამჟღავნება განხორციელდა).
- ვისთვის მოხდა ჩანაწერის გამჟღავნება.
- ჩანაწერის გამჟღავნების თარიღი.
- ჩანაწერის გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი.

7. ვიდეოჩანაწერების გადაცემა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან

7.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის N05 ბრძანებისა და მისი დანართის თანახმად, სააგენტოს მიერ ხორციელდება საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების საზღვაო-საწვრთნელი კურსის (პროგრამის) მიმდინარეობის ვიდეომონიტორინგი, ონლაინ რეჟიმში;

7.2. ვიდეო-მონიტორინგს ახორციელებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარატმენტის მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო,

რომელსაც რეალური დროის რეჟიმში IP მისამართის საშუალებით მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით გააჩნია წვდომა;

7.3. სააგენტო არ ახდენს ვიდეოჩანაწერების წარმოებას, შენახვას ან/და სხვა პირზე გადაცემას;

7.4. საზღვაო-საწვრთნელმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვიდეოგადაღების შედეგად მიღებული ჩანაწერების შენახვა არანაკლებ 14 დღისა;

7.5. მონიტორინგისათვის ვიდეოკამერა უნდა იყოს არანაკლებ 2 mega pxl, ჰორიზონტალური გარჩევადობა არანაკლებ 1280X1080, 1/2.8 CMOS მატრიცა, პროგრესული სკანირებით;

7.6. ვიდეოკამერის არეალი უნდა მოიცავდეს მთლიან საკლასო ოთახს, ასევე დამონტაჟებული უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ადგილებში;

7.7. ვიდეოკამერა არ ახორციელებს ხმის ჩაწერას.

8. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

8.1. სასწავლებელში განთავსებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის გამაფრთხილებელი ნიშნები იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს მონიტორინგი.

8.2. ვიდეომონიტორინგის გამაფრთხილებელი ნიშანი თავსდება ქართულ ენაზე და შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- გაფრთხილებას ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე;
- ინფორმაციას, რომ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება შპს "ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის" მიერ;
- სასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები.

9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

9.1. სასწავლებელი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას, რომ ის ისარგებლოს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებებით, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

წვდომის უფლება - მიიღოს ინფორმაცია, თუ რა პერსონალური მონაცემები მუშავდება და რა მიზნით, მათ შორის ინფორმაცია ვიდეო მონიტორინგის განმახორციელებელი პირის, მონიტორინგის მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ.

შესწორების/განახლების უფლება - მოითხოვოს არაზუსტი ან არასრული მონაცემების შესწორება ან განახლება;

წაშლის უფლება („დავიწყების უფლება") - მოითხოვოს მონაცემების წაშლა, თუ მათი დამუშავება აღარარის საჭირო მიზნის მისაღწევად ან თანხმობა გაუქმებულია, გარდა კანონით დადგენილიგამონაკლისებისა;

დამუშავების შეზღუდვის უფლება - მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

თანხმობის გამოხმობის (უარის თქმის) უფლება - გამოიხმოს გაცემული თანხმობა.

უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან სასამართლოს.

10. ინციდენტზე რეაგირების წესი

10.1. სასწავლებლის უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყონებლივ - ინციდენტის აღმოჩენისთანავე - აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

11. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვის ან უფლებების რეალიზების მიზნით, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს შპს "ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის" პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს:

- შპს "უსაფრთხო მონაცემთა გადაწყვეტილებები" (Safe Data Solutions)
- ელ-ფოსტა: anatavkhelidze@safedata.ge

დანართი 1

ვიდეოკამერების შიდა და გარე სივრცეში განთავსების შესახებ

1. სასწავლებელში დამონტაჟებული გარე სივრცის ვიდეომონიტორინგის სისტემა შედგება 10 ან მეტი ვიდეო კამერისაგან და ვიდეო ჩამწერი მოწყობილობისაგან.
2. გარე ხედვის ვიდეო კამერები (10 ცალი) განთავსებულია სასწავლებლის გარე ფასადზე და უყურებს როგორც ქუჩის ნაწილს, ასევე კომპანიის მთავარ შესასვლელს.
3. სასწავლებლის შიდა სივრცეში დამონტაჟებულია 45 ვიდეო კამერა, რომელიც სრულად ახორციელებს აღნიშნული სივრცის მონიტორინგს.

12. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები

13. პერსონალის წესთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ომარ დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	30.07.2025		
2	ირაკლი გოგიტიძე	შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი	30.07.2025		
3	ლანა დუმბაძე	პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების, რეგისტრაციის, მობილობისა და რეესტრის მწარმოებელი	30.07.2025		
4	მზია დუმბაძე	არქივარიუსი	30.07.2025		
5	რევაზ ბერიძე	ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ტრენაჟორების ლაბორანტი	30.07.2025		
6	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკარი	30.07.2025		
7	ირაკლი შოთაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ კაპიტანი	30.07.2025		
8	გიორგი დავითაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ უფროსი მექანიკოსი	30.07.2025		
9	ანა მუშამბაძე	ბიბლიოტეკის უფროსი/პიარ-მენეჯერი	30.07.2025		
10	სოფიკო მამულაძე	ბუღალტერი	30.07.2025		

11	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი	30.07.2025		
12	ვლადიმერ ბოგდანოვი	მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის უფროსი	30.07.2025		
13	მონიკა დიასამიძე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	30.07.2025		
14	თამარ მიქელაძე	ექთანი	30.07.2025		
15	ზურაბ დიასამიძე	შესყიდვების სპეციალისტი	30.07.2025		
16	ნინო ნაკაშიძე	პროფ.სტუდ. თანამშრომ, მსმენელებთან ურთიერთ განყოფილების უფროსი	30.07.2025		
17	დავით ჩხაიძე	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი	30.07.2025		
18	ვაჟა გეგიძე	პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი	30.07.2025		
19	თამარა დარჩიძე	პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილების საქმისმწარმოებელი	30.07.2025		
20	იური მედინცევი	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ ბოცმანი	30.07.2025		
21	მურად ნინიძე	ელექტრიკოსი	30.07.2025		

22	რუსლან დიასამიძე	ინსტრუქტორი	30.07.2025		
23	აკაკი ესანჯია	ინსტრუქტორი	30.07.2025		
24	არჩილ ნაკაშიძე	ინსტრუქტორი	30.07.2025		
25	მირანდა ჭინკაძე-ბაბუნაშვილი	ინსტრუქტორი პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
26	კახაბერ ქათამაძე	ინსტრუქტორი	30.07.2025		
27	ნოდარ აბუსელიძე	ინსტრუქტორი	30.07.2025		
28	ალეკ ხავლოშვილი	ინსტრუქტორი	30.07.2025		
29	ბადრი გიორგაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
30	თამაზ თებიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
31	ნინო ჯაყელი	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
32	ანზორ შარაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
33	ამირან ფუტკარაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
34	თეიმურაზ შამილაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
35	ზურაბ ბერიძე	პროფესიული განათლების	30.07.2025		

		მასწავლებელი			
36	ალიკო ბარამიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
37	ივანე დავითიანი	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
38	თამარ გუჩმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
39	დარეჯან ასამბაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი	30.07.2025		
40	ოლეგ სოლოდიხინი	მცველი	30.07.2025		
41	მერაბ გეგიძე	მცველი	30.07.2025		
42	მოსე პატარაია	მცველი	30.07.2025		
43	მზევინარ ბერიძე	დამლაგებელი	30.07.2025		

14. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტისდასახელება, №

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი
The Rule of the Video Monitoring
ნდ № 2-0401-03

1.2 წესის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანა თავხელიძე

1.3 შემსრულებელი _____ _____\

_____ _____\

ნაწილი 2. შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	ხარისიხს განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე			
2	ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მინდია თავართქილაძე			
3	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი ირაკლი ბეჟანიძე			

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____ _____ _____

სახელი, გვარი ხელმოწერა თარიღი